ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №583729

ნომერი: AR1115384

თარიღი : 12.03.2013

გაცემის თარიღი : 13.03.2013

გაცნობის თარიღი : 13.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე სარალიძე პ/ნ 01008017542
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 66 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1115384 12.03.2013წ. განცხადების პასუხად გაცნობებთ, სადაც ითხოვთ ღობის მოწყობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.107) ნაწილზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1–ის (ტზ–1) სტატუსი, სადაც აკრძალულია ნებისმიერი სახის მშენებლობა, ხოლო უმეტეს ნაწილზე საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1–ის (სსზ–1) სტატუსი. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1):

ა) საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, მათ შორის კარკასი განაშენიანების დომინირებულისახეობის გარეშე (შერეული ზონა);

ბ) კოეფიციენტები:

ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 3,5;

ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

გ) რეკომენდებულია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს საერთო ოდენობის 60%-ის.' (25.11.2011 N 12-55)

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ გამოყენების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნეს არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი და ასევე, ღობე უნდა განთავსდეს ფუნქციურ ზონებს შორის არსებულ საზღვარზე (იხ. დანართი) სამეზობლო მიჯნაზე მშენებლობის წესების დაცვით.

ამასთან დასაზუსტებელია თქენი მოთხოვნა თუ რა სიმაღლის ღობის მოწყობა გსურთ, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მიხედვით გრუნტის ზედაპირიდან 4.00 მ. სიმაღლის მქონე ღობე თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის მახასიათებლების ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას; გთხოვთ დააკონკრეტოთ თქვენი მოთხოვნა და იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ღობის სიმაღლე არ აღემატება 4.0–მ–ს საკითხი შესაბამისი განაცხადით უნდა დააყენოთ www.tas.ge–ზე ელექტრონულ განაცხადებში>I კლასის მცირე არქიტექტურული ფორმები>4.მ–მდე სიმაღლის მქონე ღობე;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge